ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3827286

ნომერი: AR1576713

თარიღი : 12.02.2018

გაცემის თარიღი : 16.02.2018

გაცნობის თარიღი : 16.02.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მესხიშვილის შეს. N3 ; ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კარენ ზახარიანი პ/ნ 01030034324
- თბილისი რუისპირის ქუჩა #1

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2383275
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 14.01.2016

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, მესხიშვილის შეს. N3-ში დადგენილი სანებართვო პირობების დარღვევით/შეუსრულებლობით განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით პირობებთან შესაბამისობის დადასტურების საკითხს.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 31 თებერვლის N№-19/01173321820-17 ბრძანების მიხედვით ფიქსირდება მრავალი მნიშვნელოვანი დარღვევა, მათ შორის: "დარღვეულია მიჯნის ზონა +6,60 ნიშნულზე 8-6 და 2-1 მონაკვეთებში მოწყობილი ფანჯრის ღიობებით (უნდა მოწყობილიყო მინა ბლოკი), შეცვლილია კოლონების და რიგელების რაოდენობა, მომატებულია ავტოსადგომის ფართი, -2.70 ნიშნულის ქვეშ მოწყობილია სათავსი და შემცირებულია გამწვანების ფართი".

ობიექტზე დაფიქსირებული დარღვევების გათვალისწინებით, ვინაიდან შეცვლილია შენობის და მისი ნაწილების პარამეტრები, სამსახური თქვენს მოთხოვნას სანებართვო პირობების დარღვევით/შეუსრულებლობით განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით პირობებთან შესაბამისობის დადასტურების თაობაზე ვერ დააკმაყოფილებს.

გაცნობებთ, რომ საჭიროა კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის მოპოვება, რისთვისაც განაცხადი უნდა დაარეგისტრიროთ შესაბამის ნომენკლატურაში და წარმოადგინოთ სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.